ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №5-ს

„27" "03" 2019 წ .

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, სსიპ „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის რევაზ ბეჟაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „რასელ ბედფორდ ეიეისი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში საფუძველი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტი) შემსყიდველის მიერ გამოყვანილ ნერგებზე დადგენილი საბითუმო და საცალო ფასის აუდიტორული მომსახურების (კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი-79200000 -საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები; კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი **79212000** - აუდიტორული მომსახურება) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 600 (ექვსასი) ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. სსიპ „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო" მიერ გამოყვანილ ნერგებზე დადგენილი საბითუმო და საცალო საბაზრო ღირებულებების აუდიტორული დამოწმება.

3,2. დასადგენი მცენარეების სახეობები, მახასიათებლები, რაოდენობა, თვითღირებულება და საბითუმო მითითებულია ხელშეკრულების დანართი #1-ში.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში .

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

5.2. მომსახურების დასრულებისთანავე „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს, აუდიტორული დასკვნას და საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთეჯერადად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.4. „შემსყიდველი" უზრუნველყოფს „მიმწოდებლის" დაფინანსებას ხელშეკრულების 5.2. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.2. დაიცვას აუდიტორული საქმიანობის ეთიკა, ასევე კონფიდენციალობა შემსყიდველის მიერ მიწოდებულ ფინანსურ და იურიდიულ ინფორმაციაზე; არ გამოიყენოს ისინი თავისი ან მესამე პირის ინტერესებისთვის. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მიმწოდებლისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, შეეხება მხარეთა შორის ანგარიშსწორებას, შემსყიდველის საქმიანობას, ასევე ის, რასაც შემსყიდველი განიხილავს კონფიდენციალურად და არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, წერილობით ან ზეპირი ფორმით. კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ დებულებათა მოქმედება უვადოა;
7.1.3. დაიცვას „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტები.
7.1.4.დაუბრუნოს შემსყიდველს მომსახურების გასაწევად გადმოცემული დოკუმენტაცია.
7.1.5. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ყველა ხარჯს დაკავშირებულს ხელშეკრულების საგანთან იხდის „მიმწოდებელი“.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ სრული და დროული დაფინანსება.
7.2.2.შეუქმნას მიმწოდებელს მუშაობისთვის (მომსახურებისთვის) ხელსაყრელი პირობები;
7.2.3. საკითხის შესწავლისთვის საჭირო ყველა მასალა, რომელთა სისრულესა და უტყუარობაზეც პასუხისმგებელია შემსყიდველი, დოკუმენტური სახით, დროულად (მოთხოვნიდან არაუგვიანეს მეორე დღისა) წარუდგინოს მიმწოდებელს და მისცეს მას ამომწურავი და უტყუარი ახსნა-განმარტება მისი საქმიანობის ყველა იმ საკითხზე, რომელიც წამოიჭრება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში;
7.2.4. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.2.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ გაცემული დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (დაიმოწმოს ოფიციალურ წერილებსა და კორესპონდენციებში, გამოაქვეყნოს ან სხვაგვარად გაავრცელოს ისინი და ა. შ.).

9. ფორს-მაჟორი
9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და

შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
14.1.5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ადმინისტრაციული სამასახურის უფროსი ივანე აბაიაძე.
15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:
15.2.1 გაწეული მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
15.2.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 18 აგვისტოს ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
სსიპ „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“	შპს „რასელ ბედფორდ ეიეისი“ქ.
გარდაბნის რაიონი სოფ. სართიჭალა	ს/ს „საქართველოს ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა	კოდი # TBCBGE22
სახაზინო კოდი TRESGE22	ა/ა # GE90BG0000000246605200.
ა/ა # GE24NB0330100200165022	ს/კ № 205236840
ს/კ № 226575024	

დ ა ნ ა რ თ ი 1

№	ნ ე რ გ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ უ ბ ა	ს ი მ ა ღ ლ ე (ს მ)	რ ა ო დ ე ნ ო ბ ა (ც ა ლ ი)	თ ვ ი თ ღ ი რ ე ბ უ ლ უ ბ ა	ს ა ბ ი თ უ მ ო ფ ა ს ი
1	ა კ ა კ ი	20-30	2380	0,038	0,25
2	ა კ ა კ ი	30-50	2800	0,183	0,5
3	ა კ ა ც ი ა	20-60	2700	0,094	0,5
4	დ ი ა დ ი ბ ო ყ ვ ი	30-70	2100	0,406	0,5
5	დ ი ა დ ი ბ ო ყ ვ ი	70-120	3700	0,22	1
6	ვ ე რ ხ ვ ი (ა ლ ვ ი ს ხ ე)	100-120	3228	0,157	1,5
7	ვ ე რ ხ ვ ი (ა ლ ვ ი ს ხ ე)	50-100	4000	0,157	1
8	ვ ე რ ხ ვ ი (ა ლ ვ ი ს ხ ე)	20-50	3000	0,157	0,5
9	თ ე ლ ბ დ უ მ ა	60-100	5900	0,339	1
10	თ ე ლ ბ დ უ მ ა	40-60	3900	0,767	0,5
11	თ რ ი მ ლ ი	30-70	3100	0,185	0,5
12	თ რ ი მ ლ ი	20-30	8500	0,406	0,25
13	თ უ თ ა ჰ ი ბ რ ი დ უ ლ ი	20-50	6400	0,162	0,5
14	ი უ დ ა ს ხ ე	10-20	720	0,263	0,5
15	ი ფ ა ნ ი ჩ ვ .	10-30	1300	0,441	0,5
16	კ ა კ ა ლ ი	20-60	3400	0,08	0,5
17	კ ე დ ა რ ი ჰ ი მ ა ლ ბ ი ს	10-20	1800	0,049	0,5
18	კ ვ ი დ ო მ ა რ ა დ მ წ ვ ა ნ ე	100-120	2000	0,166	1
19	კ ვ ი დ ო მ ა რ ა დ მ წ ვ ა ნ ე	30-40	1000	0,201	0,5
20	კ ვ ი პ ა რ ო ს ი	30-50	4300	0,166	1,5
21	ლ ბ ფ ა ნ ი	20-80	3400	1,108	1
22	ლ ბ ფ ა ნ ი	20-80	3400	0,583	1
23	მ ა ჟ ა ლ ო	50-100	7900	0,166	1
24	მ ა ჟ ა ლ ო	20-50	200	0,209	1
25	მ უ ხ ა ი მ ე რ უ ლ ი	10-30	20600	1,429	1,5
26	მ უ ხ ა ი მ ე რ უ ლ ი	10-30	20600	0,448	0,5
27	მ უ ხ ა კ ო ლ ხ უ რ ი	10-40	2240	0,683	3
2	მ უ ხ ა	20-40	4200	0,196	2

8	მარადმწვანე				
29	მუხა მარადმწვანე	10-20	3300	0,196	1,5
30	მუხა მაღალმთის	10-20	21500	0,344	1
31	მუხა მაღალმთის	30-50	4000	0,344	2,5
32	მუხა მაღალმთის	20-30	3100	0,344	2
33	მუხა წაბლფოთოლა	30-60	980	0,133	1
34	მუხა ჭალის	20-60	20400	0,252	1
35	ნეკერჩხალი მაღალი მთის	40-70	8400	0,262	1,5
36	ნეკერჩხალი მაღალი მთის	70-120	11200	0,262	2,5
37	ნუში	30-70	4200	0,189	0,25
38	პანტა	30-70	1600	0,172	1
39	საპნის ხე	30-50	2800	0,187	1
40	საპნის ხე	10-30	4900	0,437	0,5
41	საღსაღაჯი	10-30	6400	0,412	1
42	სოჭი კავკასიური	10-15	14500	0,446	1
43	სოჭი კავკასიური	10-15	14500	0,054	1
44	ტუია	30-70	19300	0,046	1
45	ტუია	20-30	12500	0,185	0,5
46	ტუია	10-20	6100	0,185	0,25
47	უხრავი	80-150	2700	0,307	1
48	უხრავი	50-80	1500	0,307	0,5
49	ფიჭვი კავკასიური	5-10	19100	0,101	1,75
50	ფიჭვი კავკასიური	10-15	15000	0,243	2,5
51	ფიჭვი კავკასიური	20-30	5000	0,243	3,5
52	ფიჭვი ელდარის	10-20	18300	0,054	0,5
53	ფიჭვი ელდარის	20-30	21400	0,31	1
54	ფშატი	10-20	120	0,324	0,5
55	ფშატი	20-50	280	0,413	1

56	ძ ე ლ ქ ვ ა	10-20	1500	0,684	1
57	წ ა ბ ლ ი	10-30	2900	0,829	1

LEPL NATIONAL NURSERY

Digitally signed by LEPL NATIONAL NURSERY
DN: cn=LEPL NATIONAL NURSERY, 2.5.4.97=NTRGE-226575024, o=•••• •••••••• •••••• •••••••••, c=GE
Date: 2019.03.27 15:30:02 +04'00'